



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 96

ქ. თბილისი

10 ივლისი 2018წ.

2018 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი
კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების
და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ

„უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის
სახელმწიფო გრანტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88
დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული
წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა
რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და
პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N885860, 09.07.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2018 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი (შემდგომში -
კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ“ - ფორმა ამ ბრძანების
დანართი 2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-
ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ძირითადი პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემების (CV)
ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს „პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის - უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის თანხმობის წერილი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს კონკურსის საგრანტო პროექტის საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად.
14. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები - სალომე შარაშენიძე, მეგი ქარცივაძე (ელ. ფოსტაზე პასუხისმგებელი პირი), ანა გოგუაძე და დავით ჩიჩუა;
15. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
16. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სოფიო უჩანეიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ს.უჩანეიშვილი

**უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსის პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტი (შემდგომში - გრანტი) წარმოადგენს უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების ურთიერთობის ხელშეწყობის შესაძლებლობას. კონკურსის მიზანია უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობების დამყარება, მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, ერთობლივი ინოვაციური კვლევითი პროექტების დაფინანსების გზით ორმხრივად ნაყოფიერი თანამშრომლობის ჩამოყალიბებისათვის სტიმულის მიცემა და სამშობლოში დაბრუნების მსურველ თანამემამულე მეცნიერთა საქართველოს კვლევით სივრცეში ადაპტირების ხელშეწყობა. გრანტი საშუალებას მისცემს საქართველოში მომუშავე მკვლევარებს, უკეთ გაეცნონ უცხოეთის წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ამასთან, გრანტი ხელს შეუწყობს უცხოეთში მცხოვრებ წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას. მნიშვნელოვანი კომპონენტია ახალგაზრდა მკვლევართა ჩართვა სამეცნიერო პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელთან ინტეგრაციას.

2. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №88 დადგენილების პირველი დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (დანართი №11) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული

სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №88 დადგენილებითა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსზე მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია წამყვან ორგანიზაციას, თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითად პერსონალს (მკვლევართა ჯგუფს) ერთად.

2. პროექტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის შესრულების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

3. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია/ები** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

4. პროექტს უნდა ჰყავდეს **ძირითადი პერსონალი** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირებისაგან შემდგარი მკვლევართა ჯგუფი, რომელიც ასრულებს პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი ან მაგისტრანტი.

5. პროექტს უნდა ჰყავდეს **სამეცნიერო ხელმძღვანელი** – უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე (საქართველოს მოქალაქე ან საქართველოდან ემიგრირებული პირი ან მისი შთამომავალი), რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს, უკავია სრული პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის (ან ეკვივალენტური) თანამდებობა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტში და ა.შ.), ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში/კლინიკაში არის ლაბორატორიის, ჯგუფის ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ან უკავია სხვა არჩევითი სამეცნიერო თანამდებობა. სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმოადგენს პროექტის ძირითად პერსონალს.

6. პროექტს უნდა ჰყავდეს **თანახელმძღვანელი** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მცხოვრები, პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, კოორდინაციას უწევს მკვლევართა ჯგუფის მუშაობას

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის საქართველოში არყოფნის პერიოდში და მუდმივ კონტაქტში იმყოფება პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან.

7. პროექტს უნდა ჰყავდეს **კოორდინატორი** – ფიზიკური პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე. კოორდინატორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, წამყვანი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

8. პროექტის თანახელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

9. სასურველია პროექტში ჩართული იყოს **ახალგაზრდა მკვლევრ(ებ)ი** – საქართველოს მოქალაქე პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელსაც აქვს მინიჭებული დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე დოქტორანტი, მაგისტრი და მაგისტრანტი, ბაკალავრი.

10. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** – ძირითადი პერსონალის გარდა, პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში.

11. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადამფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ პროექტით გათვალისწინებულ კვლევას.

12. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებით სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

13. სასურველია პროექტს ჰყავდეს **პარტნიორი ორგანიზაცია** – საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი შესაძლებელია იყოს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. პარტნიორი ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს გრანტის მიმღები;

14. **პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია უხელმძღვანელოს **მხოლოდ ერთ პროექტს**. იგულისხმება, როგორც ამ კონკურსში წარმოდგენილი, ასევე, ის მიმდინარე პროექტი, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსები.

15. **ძირითადი პერსონალის სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს **ჯამში მხოლოდ ორ პროექტში**. იგულისხმება, როგორც ამ კონკურსში წარმოდგენილი, ასევე ის მიმდინარე პროექტები, რომლებიც დაფინანსდებიან ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსები.

16. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებისათვის პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული **2018 წლის 31 აგვისტოს** მდგომარეობით.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 24 ან 36 თვე. თითოეული საანგარიშო პერიოდი უნდა შეადგენდეს 12 თვეს.
2. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება და პროექტის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ძირითად სამეცნიერო მიმართულებას შემდეგი სქემის მიხედვით:

სამეცნიერო მიმართულება	მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი	დაფინანსების მაქსიმუმი პროექტის ხანგრძლივობის მიხედვით	
		24 თვე	36 თვე
1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 2. ინჟინერია და ტექნოლოგიები 3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები 4. აგრარული მეცნიერებები 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, რომლებიც მოიცავს აქ დასახელებულ 1-4 სამეცნიერო მიმართულებებს.	80 000 ლარი	160 000 ლარი	240 000 ლარი
5. სოციალური მეცნიერებები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, რომლებიც მოიცავს აქ დასახელებულ 5-6 სამეცნიერო მიმართულებებს.	60 000 ლარი	120 000 ლარი	180 000 ლარი

3. პროექტის ბიუჯეტში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

- ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
- ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- გ) მივლინება;
- დ) საქონელი და მომსახურება;
- ე) არაფინანსური აქტივები;
- ვ) ზედნადები ხარჯი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მუხლები/ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი №12).
5. პროექტის ბიუჯეტის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის ხარჯვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ა) პროექტში ახალგაზრდა მკვლევრ(ებ)ის ჩართვის შემთხვევაში, ძირითადი თანხიდან ახალგაზრდა მკვლევრ(ებ)ის საგრანტო დაფინანსებისათვის განკუთვნილი უნდა იყოს არაუმეტეს 15000 ლარისა წელიწადში, ხოლო გამოცდილ მკვლევართა საგრანტო დაფინანსებისათვის - არაუმეტეს 30 000 ლარისა

წელიწადში. სავალდებულოა ახალგაზრდა მკვლევრ(ებ)ის მონაწილეობა პროექტის ყველა საანგარიშო პერიოდში.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტში არ არის/არ არიან ჩართული ახალგაზრდა მკვლევრ(ებ)ი, ძირითადი პერსონალისათვის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს წელიწადში;

გ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 5000 ლარს წელიწადში;

დ) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯები უნდა აისახოს ხარჯვით კატეგორიაში - „ზედნადები ხარჯები“. „ზედნადები ხარჯების“ მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისთვის და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.

6. პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს კვლევის მასალებზე დაყრდნობით სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში (ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების ოფისის ხარჯების კატეგორიიდან).

7. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წამყვან ან/და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციაში ვიზიტს, ასევე ძირითადი პერსონალის წარმომადგენლის პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან სამეცნიერო-კვლევით ვიზიტს.

8. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

9. პროექტში შეთავაზებული კვლევა შესაძლოა წარმოადგენდეს სხვა საერთაშორისო პროექტით გათვალისწინებული კვლევის ნაწილს.

10. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

11. გრანტის თანხებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა-ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა, პლანშეტური კომპიუტერის და მობილური ტელეფონის შეძენა.

12. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის, გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის თანახელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტებისგან:

ა) პროექტის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს:

ა.ა) კრებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ნიმუში - დანართი 2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ა.ბ) საპროექტო წინადადება (დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

ა.გ) **პროექტის ძირითადი პერსონალის** (ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ქართველი და უცხოელი მკვლევრების) **პროფესიული ბიოგრაფიები (CV)** ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის - ინგლისურ ენაზე. თუ ამ უკანასკნელის „მეცნიერი პროფილი“ არ იქნება შევსებული ქართულ ენაზე, მისი CV-ის ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის თანახელმძღვანელი. ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას თანახელმძღვანელის მიერ (ნიმუში - დანართი 4).

ა.დ) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (ნიმუში - დანართი 5, ივსება GMUS-ში);

ა.ე) **პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (ნიმუში - დანართი 6, ივსება GMUS-ში).

ბ) პროექტის თანდართული დოკუმენტებია:

ბ.ა) **პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის - უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის თანხმობის წერილი** პროექტში მონაწილეობის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 7) დამოწმებული ხელმოწერით. თანხმობის წერილის თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს ავტორის ან თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);

ბ.ბ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ბ.ბ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში „ცნობა თანადაფინანსების შესახებ“ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ.ბ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

ბ.გ) **სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 9-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია ინგლისურ ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ.დ) **პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე თანადაფინანსებელი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი**. სსიპ-ს შემთხვევაში ატვირთული უნდა იყოს დაფუძნების დოკუმენტი, ა(ა)იპ-ის და უსდ-ს შემთხვევაში ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. ამონაწერი უნდა იყოს სულ ცოტა 2018 წლის იანვრის

მდგომარეობით. ა(ა)იპ -ის შემთხვევაში ბაზაში ატვირთული უნდა იყოს ორგანიზაციის წესდება. . საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

ბ.ე.) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები** (დიპლომი, სერტიფიკატი ან დოქტორანტის ან მაგისტრანტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალისათვის აკადემიური ხარისხის დოკუმენტი უნდა იყოს ლეგალიზებული ან აღიარებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

ბ.ვ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ცნობა სამსახურიდან, საიდანაც დასტურდება, რომ **კონკურსის გამოცხადების პერიოდში** მას უკავია სრული პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის (ან მათი ეკვივალენტური) თანამდებობა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტში და ა.შ.), ან უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში/კლინიკაში არის ლაბორატორიის, ჯგუფის ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ან უკავია სხვა არჩევითი სამეცნიერო თანამდებობა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს „მეცნიერის პროფილში“, მიმდინარე სამუშაო გამოცდილების ველში.

ბ.ზ) პროექტის კოორდინატორის წამყვან ორგანიზაციასთან საქმიანი კავშირის დამადასტურებელი ცნობა - ცნობა სამსახურიდან, საიდანაც დასტურდება, რომ **კონკურსის გამოცხადების პერიოდში** იგი დასაქმებულია წამყვან ორგანიზაციაში ან ცნობა წამყვან ორგანიზაციაში სწავლის შესახებ. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს კოორდინატორის „მეცნიერის პროფილში“, მიმდინარე სამუშაო გამოცდილების/განათლების ველში.

ბ.თ) **პარტნიორი ორგანიზაციის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტის** ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი **„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“** (ნიმუში, დანართი 10, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ფიზიკური პირების ხელმოწერებით, იურიდიული პირის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის - მათ შორის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის, ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას ერთოდეს აღნიშნული პირის პროექტში მონაწილეობის შესახებ თანხმობის წერილის ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი –. თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, უნდა ერთოდეს მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. პროექტის დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის თანახელმძღვანელი ძირითად პერსონალთან ერთად.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი – 2018 წლის 19 ივლისიდან - 14 აგვისტოს 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი – 2018 წლის 16 აგვისტოს 16:00 საათამდე.

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს პროექტის შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტების ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე თანადამფინანსებელი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ.დ-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ.ე და ბ.ზ-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. **სავალდებულოა**, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ - ინგლისურ ენაზე.

გ) პროექტის რეგისტრაცია უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსზე, კრებისითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი).

3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

- ა) **2018 წლის 10 ივლისი** – კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
- ბ) **2018 წლის 17 ივლისი, 1 აგვისტო** – ჯგუფური კონსულტაციები;
- გ) **2018 წლის 10 აგვისტო** – შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
- დ) **2018 წლის 19 ივლისიდან - 14 აგვისტოს 16:00 სთ-მდე** – პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
- ე) **2018 წლის 16 აგვისტოს 16:00 სთ-მდე** – ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა;
- ვ) **2018 წლის აგვისტო-სექტემბერი** – რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- ზ) **2018 წლის სექტემბერი-ოქტომბერი** – შუალედური შედეგების გამოქვეყნება (ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ);
- თ) **2018 წლის ოქტომბერი-ნოემბერი** – კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ;
- ი) **2018 წლის ნოემბერი-დეკემბერი** – დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით, პროექტების რანჟირებული სიების შედგენა და დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენა;
- კ) **2018 წლის დეკემბერი** – დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიის დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
- ლ) **2018 წლის დეკემბერი** – საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში:

- ა) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის თანდართული დოკუმენტების შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;
- ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის შინაარსობრივი ნაწილის არასრულად, ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს;
- გ) პროექტის ბიუჯეტისა და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების (დანართი №6) კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილია კონკურსიდან მოხსნას პროექტი;
- დ) პროექტში ჩართული სუბიექტების (იურიდიული და ფიზიკური პირების) – კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2-9 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილია კონკურსიდან მოხსნას პროექტი.
- ე) კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-14-16 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს.

3. ფონდი უფლებამოსილია ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე თანდართული დოკუმენტაციასთან მიმართებაში (იხ. მე-4 მუხლი, 1-ლი პუნქტი, ბ-ქვეპუნქტი) დაადგინოს ხარვეზი და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

4. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემათ დამოუკიდებელ ექსპერტებს ან/და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ს. ფონდი უზრუნველყოფს, პროექტი შესაფასებლად არ გაეგზავნოს ექსპერტს, რომელიც პროექტის წარმომდგენმა დაასახელა არასასურველ ექსპერტად.

2. დამოუკიდებელი ექსპერტები/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ი პროექტს აფასებენ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილების მე-10 მუხლში განსაზღვრულ „პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“.

3. პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილების მე-9-11 მუხლებით დადგენილი წესებით.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალსა და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით განსაზღვრული წესების დაცვით.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშებზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის აქტების საფუძველზე. ტრანშების გადარიცხვა მოხდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

5. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის სამეცნიერო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

4. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს. ფონდი არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს დასრულებული პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად მიღებული აქტები ფონდის მიერ შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

6. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის და დასრულების შესახებ. ფონდი უფლებამოსილია აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის - ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N88 დადგენილებით.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის თანაავტორობით საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოდგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: [Scimago Journal Ranking](#), [Scopus](#), [Web of Science](#), [ERIH plus](#). ან გამოქვეყნებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მარდაჭერით გამოცემულ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიაწე).
2. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/ საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.
3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.
4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.
5. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 10 ივლისის №96 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ General Information

1	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	□ 24 □ 36
	Project duration (months)	
3	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
	Requested funding from SRNSFG (GEL)	
4	თანადაფინანსების თანხა (ლარი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
	Co-funding (GEL) (if applicable)	
5	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
	Total budget (GEL)	
6	პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე (სახელი, გვარი)	
	Principal investigator – Compatriot (Name, Surname)	
7	ელ.ფოსტა	
	E-mail	
8	ტელეფონი	
	Telephone	
9	პროექტის თანახელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
	Co-investigator (Name, Surname)	
10	ელ.ფოსტა	
	E-mail	
11	ტელეფონი	
	Telephone	

საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა
----------------------	---------------------

12	Project proposal	PDF file upload
13	უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment	PDF file upload

სამეცნიერო მიმართულებები Scientific field		
14	პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება Scientific field	
15	სამეცნიერო ქვემიმართულება Sub-field	
	1	
	2	
	3	

16	საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 ტერმინისა)	
	keywords (no more than 5 terms)	

17	ინფორმაცია არასასურველი ექსპერტების შესახებ Information about excluded reviewers	
N	სახელი, გვარი Name, Surname	ინსტიტუცია Institution
1		
2		
3		

II გვერდი

ორგანიზაცია Organization

ინფორმაცია წამყვანი ორგანიზაციის შესახებ Information about host institution		
1	წამყვანი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
	ID code of the host institution	
2	წამყვანი ორგანიზაცია	
	Host institution	
3	კვლევითი ინსტიტუცია	
	Research institution	
4	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
	Head of the host institution	
5	თანამდებობა	
	Position	
6	წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდი	
	Webpage of the host institution	
7	ელ.ფოსტა	
	E-mail	

8	ტელეფონი	
	Telephone	
9	მისამართი	
	Address	
10	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	

ინფორმაცია თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-participant institution (if applicable)		
11	თანამონაწილე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
	ID code of the co-participant institution	
12	თანამონაწილე ორგანიზაციის დასახელება	
	Co-participant institution	
13	კვლევითი ინსტიტუტია	
	Research institution	
14	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
	Head of the co-participant institution	
15	თანამდებობა	
	Position	
16	თანამონაწილე ორგანიზაციის ვებგვერდი	
	Webpage of the co-participant institution	
17	ელ.ფოსტა	
	E-mail	
18	ტელეფონი	
	Telephone	
19	მისამართი	
	Address	
20	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about co-funding legal/natural person (if applicable)		
21	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი	
	ID code of the co-funding legal person	
22	თანადამფინანსებელი იურიდიული პირი	
	Co-funding legal person	
23	მისამართი	
	Address	
24	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
25	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding Commitment	PDF file upload

26	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Co-funding natural person (Name, Surname)	
27	ელ. ფოსტა	
	E-mail	
28	ტელეფონი	
	Telephone	
29	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of co-funding Commitment	PDF file upload

ინფორმაცია იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about the legal/natural person providing research infrastructure for the project (if applicable)		
30	იურიდიული პირის დასახელება	
	Legal person	
31	ელ.ფოსტა	
	E-mail	
32	ტელეფონი	
	Telephone	
33	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
34	უფლებამოსილი პირი (სახელი, გვარი)	
	Authorized person (Name, Surname)	
35	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment	PDF file upload
36	ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
	Natural person (Name, Surname)	
37	ელ. ფოსტა	
	E-mail	
38	ტელეფონი	
	Telephone	
39	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment	PDF file upload

შენიშვნა: ივსება იმ შემთხვევაში თუ კვლევა ხორციელდება იმ ფიზიკური/იურიდიული პირის ბაზაზე, რომელიც არ წარმოადგენს წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციას.

Note: fill the gaps in case the legal entity providing access to the research infrastructure is not host or co-participant institution.

ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) Information about the partner organization (if applicable)		
40	იურიდიული პირის დასახელება	
	Legal person	
41	ორგანიზაციის ვებ-გვერდი	
	Organization webpage	
42	მისამართი (ქალაქი, ქვეყანა)	
	Address (City, Country/State)	

